

(სსმ III, 27.08.2010 წ., N 106 მუხ. 1644)

რეგისტრირებულია  
საქართველოს იუსტიციის  
სამინისტროში  
სარეგისტრაციო კოდი  
040.030.000.22.054.015.089

საქართველოს კულტურისა  
და ძეგლთა დაცვის მინისტრის  
ბრძანება N 3/182  
2010 წლის 23 აგვისტო ქ. თბილისი

**“საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს  
კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების  
შესახებ” საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის  
მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს N3/256 ბრძანებაში ცვლილებების  
შეტანის თაობაზე**

“ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1.** “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს N3/256 ბრძანებით (სსმ III, 08. 08. 2006წ., N105, მუხ. 1435) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “კ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“კ) მოამზადოს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პროგრამები და კონკრეტული წინადადებათა, განახორციელოს ისინი, საჭიროების შემთხვევაში კი განსახილველად წარუდგინოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს”.

2. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ფუნქციები ეკისრება კინოცენტრის დირექტორს, რომელსაც თანამდებობაზე 3 წლის ვადით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი”.

3. მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის “ი” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ი) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს ეროვნული კინოცენტრის საექსპერტო კომისიისა და საკონკურსო დებულების პროექტს”.

4. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 6. ეროვნული კინოცენტრის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი

1. ეროვნული კინოცენტრის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა;

2. ეროვნულ კინოცენტრს, მხოლოდ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანხმობით, შეუძლია განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე თეატრის მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებები თეატრის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს”;

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის “ბ” და “გ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა, ხოლო “ა” და “ვ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობა”.

5. მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“5. ეროვნული კინოცენტრის წლიურ ბალანსს ამოწმებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი და ამტკიცებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო”.

6. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით”.

**მუხლი 2.** ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ნ. რურუა**